პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 233 (7794)
6 დეკემბერი, ხუთშაბათი 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

# საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ტრიუმფი

**4 დეკემბერს გაიმართა საჭადრაკო ოლიმპიადის დასკვნითი, XIV ტურის შეხვედრები. საბჭოთა მოჭადრაკეებმა კვლავ წარმატებით ითამაშეს.**


ალექსანდრე ბელიავსკი


ლევ პოლუგაევსკი



რაფაელ ვაჰანიანი


ვლადიმერ ტუკმაკოვი


არტურ იუსუპოვი


ანდრეი სოკოლოვი

ჩვენი ქალთა გუნდი შეხვდა ჰოლანდიის ნაკრებს და გაიმარჯვა — 2:1. ნონა გაფრინდაშვილმა პარტია მოიგო, მეტოქეებს დაუზავდნენ ირინა ლევიტინა და ლიდია სემიონოვა.

ამრიგად, სსრ კავშირის გუნდმა 42-დან 32 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. მან დაამარცხა იტალიის (3:0), კანადის (2:1), ესპანეთის (2,5:0,5), რუმინეთის (2:1), ბულგარეთის (2:1), ჩინეთის (2,5:0,5), უნგრეთის (2,5:0,5), იუგოსლავიის (3:0), ინდოეთის (3:0), აშშ-ის (2,5:0,5), ინგლისის (2:1), ჰოლანდიის (2:1) გუნდები, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები გფრ-ისა (1,5:1,5) და პოლონეთის (1,5:1,5) მოჭადრაკეებთან. ამ დიდებულ წარმატებაში გუნდის ყველა წევრმა შეიტანა თავისი წვლილი. გთავაზობთ დიდოსტატთა შედეგებს: მაია ჩიბურდანიძე — 7,5 (+4—0=7), ირინა ლევიტინა — 6,5 (+3—1=7), ნონა გაფრინდაშვილი — 8,5 (+7—0=3), ლიდია სემიონოვა — 9,5 (+9—0=1).

საბჭოთა ვაჟთა გუნდმა დაამარცხა გფრ-ის ნაკრები — 2,5:1,5. პირველ დაფაზე რაფაელ ვაჰანიანმა 20 სვლაში მოუგო რობერტ ჰიუბნერს. გაიმარჯვა ვლადიმერ ტუკმაკოვმაც. ყაიმს დასჯერდა არტურ იუსუპოვი, ხოლო ანდრეი სოკოლოვმა წააგო.

ამრიგად, 41 ქულით (56-დან) I ადგილზე გავიდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. მათ მოუგეს შეხვედრები მალაიზიის (4:0), კოლუმბიის (4:0), უნგრეთის (4:0), ჰოლანდიის (2,5:1,5), ინგლისის (2,5:1,5), რუმინეთის (2,5:1,5), იუგოსლავიის (3:1), ბულგარეთის (3:1), კუბის (3,5:0,5), ისლანდიის (2,5:1,5), საფრანგეთისა (3,5:0,5) და გფრ-ის (2,5:1,5) მოჭადრაკეებს, დაუზავდნენ შვეციის წარმომადგენლებს (2:2) და დამარცხდნენ აშშ-ის (1,5:2,5) გუნდთან. აი, ვინ როგორ ითამაშა: ალექსანდრე ბელიავსკი — 8 (+7—1=2), ლევ პოლუგაევსკი — 7 (+4—0=6), რაფაელ ვაჰანიანი — 8,5 (+7—0=3), ვლადიმერ ტუკმაკოვი — 7 (+5—1=4), არტურ იუსუპოვი—5 (+3—1=4), ანდრეი სოკოლოვი—5,5 (+4—1=3).

სალონიკის ოლიმპიადამ კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოთა მოჭადრაკეთა დიდი ძალა და შემართება. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა საკავშირო სპორტკომიტეტის ჭადრაკის სამმართველოს უფროსმა, დიდოსტატმა ნიკოლოზ კროგიუსმა თქვა:

— ჩვენი ორივე გუნდის გამარჯვება სასიამოვნოა, სასიხარულო და სავსებით კანონზომიერია. წლები გადის, თაობას თაობა ცვლის, მაგრამ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა უპირატესობას არ თმობს. ჩვენს ქალთა ნაკრებში ახლაც უძლიერესი მოჭადრაკეები გამოდიოდნენ. მათ იმედი გაამართლეს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ოლიმპიადის დებიუტანტი ლიდია სემიონოვა. დამაჯერებლად თამაშობდნენ ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე და ირინა ლევიტინა. საბჭოთა ვაჟთა ნაკრებში არ იყვნენ ანატოლი კარპოვი და გარი კასპაროვი, მაგრამ ჩვენ მაინც გვჯეროდა გუნდისა. და მან მართლაც არ გაგვაწბილა. საუცხოოდ თამაშობდა ბელიავსკი, რომელმაც საზღვარგარეთის ჭადრაკის რამდენიმე „ვარსკვლავი" დაამარცხა — ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ენტონი მაილსი (ინგლისი), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), იან ტიმანი (ჰოლანდია) და სხვები. მეთოდურად თამაშობდა გამოცდილი მებრძოლი პოლუგაევსკი, იმპულსურმა და ნიჭიერმა ვაჰანიანმა საგრძნობლად აიმაღლა ოსტატობა, კარგი მომზადებით გამოირჩეოდნენ ტუკმაკოვი და იუსუპოვი. ახალბედა სოკოლოვმა კარგად აუბა მხარი ძლიერ კოლექტივს.

გუშინ სალონიკში საჭადრაკო ოლიმპიადა საზეიმოდ დაიხურა.

# ახალი დიდი აღიარება

## მაია ჩიბურდანიძე — საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟთა შორის



**ფიდე-ს გენერალურმა ასამბლეამ, საკლასიფიკაციო კომისიის წარდგინებით, ქალთა შორის სამგზის მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს („დინამო") ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ეს მეორე შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში, როცა მოჭადრაკე ქალს მიეკუთვნა ვაჟთათვის განკუთვნილი უმაღლესი სპორტული წოდება. პირველმა იგი ნონა გაფრინდაშვილმა მიიღო 1978 წელს.**

**გაეცანით სახელოვანი მოჭადრაკე ქალის სპორტულ წოდებებსა და ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში მოპოვებულ საუკეთესო შედეგებს.**

დაიბადა 1961 წლის 17 იანვარს, ქუთაისში. სპორტის ოსტატი და საერთაშორისო ოსტატი გახდა 1974 წელს, საერთაშორისო დიდოსტატი 1977 წელს, სსრ კავშირის დიდოსტატი და ვაჟთა შორის საერთაშორისო ოსტატი 1978 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატი 1979 წელს.

საუკეთესო შედეგები: I-III (ბარსელონა, 1979), II (სსრ კავშირის 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალი, ტალინი, 1980), V (სსრ კავშირის 49-ე ჩემპიონატის ნახევარფინალი, ნიკოლაევი, 1981), II (ტალინი, 1981), I (დელი, 1984), III (პოლიანიცა-ზდრუე, 1984).

დამარცხებული ჰყავს დიდოსტატები: მ. ტაიმანოვი, ა. სუეტინი, ვ. ტუკმაკოვი, ე. ვასიუკოვი, ვ. ანტოშინი (ხუთჯერ), ე. გუფელდი, მ. ჩანდლერი (ინგლისი), ს. გარსია, ა. როდრიგესი (ორივე — კუბა), ა. პომარი (ესპანეთი), ა. კულიგოვსკი (პოლონეთი) და სხვები.

ფიდე-ს რეიტინგი — 2375.

# კვლავ ყაიმი

**გუშინ, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ანატოლი კარპოვისა და გარი კასპაროვის მატჩის 30-ე პარტია. ისევე როგორც 28-ე პარტიაში აქაც რუსული პარტია გათამაშდა. მე-10 სვლაზე პრეტენდენტმა პაიკი შესწირა. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონმა იგი არ მიიღო. მიტელშპილის გაუვლელად პარტია მშვიდ დაბოლოებაში გადავიდა მეტოქეთა თანაბარი შანსებით. 21-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.**

**ამრიგად, ანგარიში კვლავ უცვლელია (+5—0=25) მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.**

**31-ე პარტია უნდა შედგეს 7 დეკემბერს.**

გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე

# სტარტზეა XVIII ტრადიციული...




**1966 წელს, ქართული ხელბურთის მეათე წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი ვაჟთა გუნდების მონაწილეობით. ეს ტურნირი, რომელიც ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის (იჰფ) ოფიციალურ კალენდარში შეიტანეს, ტრადიციულად ყოველი წლის დამლევს იმართება.**

**...თბილისელმა** მაყურებელმა სხვადასხვა დროს იხილა მსოფლიოს უძლიერესი გუნდები და მოთამაშეები. ჩვენი სასახლის თაღებქვეშ გამოდიოდნენ უნგრეთის, იუგოსლავიის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ისლანდიის, ესპანეთის, კუბის, სსრ კავშირის, უკრაინისა და საქართველოს გუნდები. აღსანიშნავია, რომ 17 გათამაშებიდან საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა 13-ჯერ, მათ შორის დაწყებული 1972 წლიდან დღემდე — ზედიზედ. 1966 და 1967 წლებში თბილისის ტურნირზე უძლიერესის სახელი მოიპოვა უნგრეთის ნაკრებმა, 1970 წელს — იუგოსლავიის, ხოლო 1971 წელს — გდრ-ის გუნდებმა. ჩვენი რესპუბლიკის ხელბურთელებმა ყველაზე დიდ წარმატებას 1970 წელს მიაღწიეს, როდესაც მეორე ადგილზე გავიდნენ. გარდა ამისა, ისინი სამჯერ იყვნენ მესამე საპრიზო ადგილზე.

წლევანდელ გათამაშებაში, რომელიც ხვალ იწყება, ხუთი გუნდი

(დასასრული მე-2 გვ.).




უკანასკნელი ვარჯიში: ხვალ ეს ტრიბუნები ხელბურთის მოყვარულებით შეივსება...

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# სტარტზეა XVIII ტრადიციული...

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი)

ასპარეზებს — რუმინეთის, პოლონეთის, სსრ კავშირის (პირველი და ახალგაზრდული) და საქართველოს ნაკრები კოლექტივები.

ზუშინ ეს გუნდები ტურნირის წინ უკანასკნელად შეიკრიბნენ სავარჯიშოდ. ჩვენ ვეწვიეთ სპორტის სასახლეს და ინტერვიუ ჩამოვართვით საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა უფროს მწვრთნელებს.

პირველად საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **გარი მაჭავარიანს** ვესაუბრეთ.



**● გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე საქართველოს ნაკრების სახელით ტრადიციულად თბილისის „ბურევესტნიკის" ოსტატ ხელბურთელთა გუნდი ასპარეზობს. როგორ მოემზადეთ ტურნირისათვის?**

— გუნდი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ საპრესტიჟო ტურნირისათვის. ბიჭები ფორმაში არიან, მხოლოდ მეკარის პრობლემა დგას მწვავედ. სერიოზული ტრავმის გამო მაყურებელი ამჯერად ვერ იხილავს ამირან კომახიძეს. ტრავმირებულია ჯემალ ბარამიძეც, მაგრამ იგი მაინც ვარჯიშობს და აპირებს გამოვიდეს მოედანზე, რადგან ახალბედა, ბრძოლებში გამოუცდელ დათო ხარაძეს მარტოს ძალიან გაუძნელდება. გვიან შემოგვიერთდა ამბერკი ტაბიძე, იგი ავადმყოფობდა და ამიტომ ჯერ კიდევ არ არის სპორტულ ფორმაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი გამოცდილება და ოსტატობა მაინც თავისას გაიტანს.

**● რა მიზნებს ისახავთ?**

— ვეცდებით ვითამაშოთ თავდადებით, აღვიდგინოთ ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ტურში განცდილი მარცხით შელახული ღირსება. არ გვავიწყდება ისიც, რომ სულ მალე — 21 დეკემბერს ზაპოროჟიეში საკავშირო პირველობის მეორე ტური დაიწყება. ამ შეჯიბრების წინ „ზარია ვოსტოკას" პრიზის გათამაშება საუკეთესო ვარჯიში იქნება ჩვენი ხელბურთელებისათვის, რომლებსაც თბილისში საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან მოუწევთ ბრძოლა.

**● თქვენთან ერთად ვარჯიშზე თბილისელთა ძველი „ოქროს გუნდის" ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ანზორ ექსეულიძეს ვხედავთ...**

— დიახ, იგი დაახლოებით ერთი თვეა, რაც ჩვენს გუნდში მეორე მწვრთნელად მოვიდა. ეს პოპულარული ხელბურთელი — საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი, თავის დროზე ქვეყნის ნაკრების წევრი, უსათუოდ თავის სიტყვას იტყვის როგორც მწვრთნელი და ახალ ამპლუაშიც დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ ხელბურთს.

**● საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „ბურევესტნიკი" ბოლო წლებში წარმატებას ვერ აღწევს — სამწუხაროდ, წლევანდელი გათამაშებაც მარცხით დაიწყო...**

— როგორც იტყვიან, უკან დასახევი გზა არა გვაქვს, უნდა შევინარჩუნოთ ადგილი უმაღლეს ლიგაში. ჩვენთვის ახლა ყოველ ქულას „ოქროს" ფასი აქვს. ვეცდებით მაქსიმალურად გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობანი.

ბიჭებს სჯერათ, რომ ძველ დიდებას დაუბრუნებენ ქართულ ხელბურთს...

**სპორტის** სასახლის სარბიელზე საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრები შემოვიდა სავარჯიშოდ. აქვეა მისი უცვლელი ხელმძღვანელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ანატოლი ევტუშენკო.** ერთი კითხვა მწვრთნელს:




**● საბჭოთა კავშირის ნაკრები „ზარია ვოსტოკას" პრიზის გათამაშების მუდმივი მონაწილე და არაერთგზის გამარჯვებულია. ტრადიციის დარღვევას, ალბათ, არც ამჯერად აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისათვის ვიბრძოლებთ. ვფიქრობთ, რომ კონკურენცია მწვავე იქნება, რადგან რუმინეთისა და პოლონეთის გუნდები დღეს მსოფლიო ხელბურთის ელიტას წარმოადგენენ. ჩვენ ძირითადად სამ მიზანს ვისახავთ: წარმატებით გამოვიდეთ ტურნირზე, გამოვცადოთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ხელბურთელი და ვეტერანების მზადყოფნაც შევამოწმოთ. თბილისში ძირითადად უნდა განისაზღვროს იმ ნაკრების შემადგენლობა, რომელიც თებერვალში მსოფლიო ჩემპიონატის „ბ" ჯგუფში გამოვა.



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ვარჯიშობს ჩვენი ქვეყნის ნაკრები; ქართველი ხელბურთელები ორმხრივ საწვრთნელ მატჩს ატარებენ.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**






## გათამაშების კალენდარი

**7 დეკემბერი, პარასკევი**

17.30 — სსრ კავშირი (II) — სსრ კავშირი (I)
19.00 — შეჯიბრების ოფიციალური გახსნა
19.30 — რუმინეთი — საქართველო

**8 დეკემბერი, შაბათი**

17.00 — სსრ კავშირი (II) — რუმინეთი
18.30 — საქართველო — პოლონეთი

**9 დეკემბერი, კვირა**

17.00 — პოლონეთი — სსრ კავშირი (II)
19.30 — რუმინეთი — სსრ კავშირი (I)

**10 დეკემბერი, ორშაბათი**

თამაშებისგან თავისუფალი დღე

**11 დეკემბერი, სამშაბათი**

18.00 — რუმინეთი — პოლონეთი
19.30 — სსრ კავშირი (I) — საქართველო

**12 დეკემბერი, ოთხშაბათი**

17.00 — პოლონეთი — სსრ კავშირი (I)
18.30 — საქართველო — სსრ კავშირი (II)
20.00 — შეჯიბრების დახურვა.

# ნაკლოვანებებიც გამოვლინდა

**ახლოვდება სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" შექმნის 50 წლისთავი. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გრძელდება საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები. სპორტულ ღონისძიებაში, რომელიც ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჩაატარა, ათასობით მუშა-მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა.**

**„სპარტაკის"** 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა ამ ასპარეზობამ მთელი რესპუბლიკა მოიცვა. პირველ ეტაპზე ჩატარდა შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ აჭარის, აფხაზეთის, რუსთავისა და თბილისის ორგანიზაციებს. ფინალური ასპარეზობის პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი, ცურვა, მძლეოსნობა და ტურისტული მრავალჭიდი. როგორც ხედავთ, სპორტის შვიდი სახეობიდან ოთხი მშდ ფიზკულტურულ კომპლექსში შედის, ეს შემთხვევითი როდია. სპარტაკიადის ყველა ეტაპზე სწორედ მშდ კომპლექსში შემავალი სახეობები იყო წამოწეული წინა პლანზე, რამაც ფიზკულტურულ კოლექტივებში საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა.

კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის საქვაჭრობმონტაჟის წარმომადგენლებმა, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს რუსთავისა და აჭარის ნაკრებმა გუნდებმა.

მაგრამ სპარტაკიადამ ნაკლოვანებებიც გამოავლინა. მაგალითად, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში მოისუსტებს ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა მუშა-მოსამსახურეთა შორის.

მახარაძისა და სამტრედიის რაიონების, გორისა და წყალტუბოს ფიზკულტურულ კოლექტივებში სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებებიც კი არ ჩაუტარებიათ. იგივე ითქმის თბილისის გლდანისა და ლენინის რაიონების კვებვაჭრობის, პირველი მაისისა და ოქტომბრის რაიონების საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებზე.

**ნოდარ უასუმაშვილი,**
**„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი.**

# ყოჩაღ, გალეგაშვილებო!

**„მთელი ოჯახით სტარტზე"** — ეს დევიზი კარგა ხანია ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სტარტზე უხმობს ყველას. ამავე დევიზით ეწყობა შეჯიბრებები გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე. ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობა „სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ახლახან ჩაატარა ბათუმში. ღონისძიება, რომლის პროგრამაში იყო მოძრავი თამაშობები, ესტაფეტები, ბურთის მიზანში ტყორცნა და ადგილიდან სიგრძეზე ხტომა, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

პირველობა წილად ხვდა ცხინვალელების მზია და სიმონ გალეგაშვილების ოჯახს — 260 ქულა. ნადეჟდა და ოლეგ ლიზინების (ბათუმი) და თამარ და ვალერი მალივანიკების (სოხუმი) ოჯახებმა 242-242 ქულა მოაგროვეს. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ლიზინების ოჯახს, რომელსაც უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდა დაუსწრებელ შეჯიბრებაში „მოძრაობა ჯანმრთელობისათვის".

**გურამ არქიელიძე.**

# ბოლო ტურის წინ

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში, სადაც მიმდინარეობს მოსწავლე გოგონათა და ჭაბუკთა პირველობები ჭადრაკში, გაიმართა IX-X ტურების პარტიები და შეხვედრები VIII ტურიდან გადადებული ორი პარტიის დასამთავრებლად.

**გადადებული პარტიები.** გოგონები: კურცხალია — შუბლაძე 1:0; ჭაბუკები: შალამბერიძე — ბალათურია 0,5:0,5.

გოგონები. **IX ტური:** ცხვედიანმა დაამარცხა წკეპლაძე, მერეკლიშვილმა — ხარლამიდი, შუბლაძემ — ლეჟავა, ლაგვილავამ — კურცხალია. გაგნიაშვილი დამარცხდა ხვედელიძესთან. დაზავდნენ იაშვილი — მარდალეიშვილი. **X ტური:** ხვედელიძემ მოუგო იაშვილს, ცხვედიანმა — გაგნიაშვილს, ხარლამიდი დამარცხდა შუბლაძესთან შეხვედრაში. ყაიმით დასრულდა ლეჟავა — ლაგვილავას პარტია. ორი შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა.

ამრიგად, 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნათია წკეპლაძე (ქუთაისი), ივეტა კურცხალია, ცირა მერეკლიშვილი (ორივე — თბილისი) — 7,5-7,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

**ჭაბუკები. IX ტური:** ბალათურიამ დაამარცხა კაკაბაძე, ტაბატაძემ — შალამბერიძე. ხოფერიამ წააგო სუპატაშვილთან, დგებუაძემ — ჭურღულიასთან, თურქაძემ — მორჩაძესთან. ერთი პარტია გადაიდო. **X ტური:** მორჩაძე დამარცხდა ლობჟანიძესთან, ჭურღულია — თურქაძესთან, შალამბერიძე — დგებუაძესთან, კაკაბაძე — ტაბატაძესთან. დაზავდნენ სუპატაშვილი — მანაგაძე, ხოფერია — ბალათურია.

ლიდერობენ თამაზ ტაბატაძე (თბილისი) — 9 ქულა, ხვიჩა სუპატაშვილი — 7,5, ნუკრი მანაგაძე (ორივე — ქუთაისი) — 7 (1).

დღეს მოეწყობა შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად, ხვალ უკანასკნელი ტურია.

**ინფორმაცია**

# ორ ასაკობრივ ჯგუფში

**ერევანში** გაიმართა ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, ყაზახეთის, მოლდავეთის, უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის სპორტსმენები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი გლდანის სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელები — თამაზ ბენდიაშვილი, ჯონი ლორია და ვლადიმერ იაშვილი).

1967-68 წლებში დაბადებულთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს პაატა მაისურაძემ (45 კგ), ვაჟა ჭუნაშვილმა (52) და ბაკურ სირაძემ (60), მეორე ადგილებზე გავიდნენ გია ივანიშვილი (52) და ზაზა ბენდიანიშვილი (81).

1969-70 წლებში დაბადებულთა შორის უძლიერესი იყო გია სულთანიშვილი (70), ვერცხლის მედალი დაიმსახურა ალექსანდრე მამალაძემ (50), ბრინჯაოსი — ტყუპმა ძმებმა მამუკა და გია ნატროშვილებმა (შესაბამისად — 38 და 41 კგ).

# მკითხველი — გაზეთი

**ძვირფასო რედაქცია!**

**ძალიან ხშირად ბევრს ლაპარაკობენ სპორტულ სამკერდე ნიშნებზე. თურმე არიან კოლექციონერები, რომლებსაც შეგროვილი აქვთ ასობით და ათასობით სხვადასხვა სპორტული სამკერდე ნიშანი. ეს მართლაც საინტერესო გატაცებაა, მაგრამ ამჟამად მე სხვა რამ მაინტერესებს. გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, განმიმარტოთ როდის და რა მიზნით შემოიღეს თავდაპირველად საერთოდ სამკერდე ნიშანი?**

**კახა გელუტაშვილი.**
თბილისი.

**პასუხი:** ცნობილია, რომ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მეომრებს საბრძოლო ფარზე ან მუზარადზე მიმაგრებული ჰქონდათ საგანგებო ნიშნები, რომლითაც ისინი მტრებისგან ანსხვავებდნენ თავისიანებს. სამკერდე ნიშნები, ისეთები, როგორიც დღეს გვხვდება, გაჩნდა გაცილებით მოგვიანებით.

სპორტულ სამკერდე ნიშნებს დღეს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ამზადებენ. მარტო ჩვენში ათასობით ნიმუშის ასეთი ნიშანია გამოშვებული. დავასახელებთ ძირითადს — „მშდ ფიზკულტურული კომპლექსისა" (1931 წ), „სსრ კავშირის სპორტის ოსტატისა" (1935), „სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატისა" (1959), „სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატისა" (1965) და ა. შ.

# ვის როგორ სწამს და სჯერა

## სპეციალისტთა აზრით

**შენს** გუნდზე სხვები რომ მსჯელობენ და კამათობენ, უდავოდ საინტერესოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს სხვები საბჭოთა კალათბურთის აღიარებული სპეციალისტები — მწვრთნელები და მსაჯები არიან. უცხო თვალმა შეიძლება ბევრი ისეთი რამ დაინახოს და შენიშნოს, რაც შინაურს ზოგჯერ გამორჩება კიდეც. სწორედ ამიტომ, უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტებს ვთხოვეთ აზრი გამოეთქვათ თავიანთ გუნდებზე, მეტოქეებზე, ცალკეულ სპორტსმენებსა და საერთოდ, კალათბურთის პრობლემებზე. საქმის გამარტივების მიზნით მწვრთნელებსა და მსაჯებს დავურიგეთ ანკეტები ხუთი ერთნაირი შეკითხვით:

**1. რა აზრისა ხართ დღევანდელ თბილისის „დინამოზე“?**

**2. როგორ გესახებათ თქვენი გუნდის შანსები?**

**3. დაასახელეთ უძლიერეს კალათბურთელთა ხუთეული თბილისის ტურის მიხედვით.**

**4. რა აზრისა ხართ ახალ წესებზე?**

**5. რას ფიქრობთ ჩემპიონატის ფორმულაზე?**

ვფიქრობთ, კალათბურთის მოყვარულნი ინტერესით გაეცნობიან სპეციალისტთა პასუხებს.



**იაროსლავ დუდკინი**

**საერთაშორისო არბიტრი, ტურის უფროსი მსაჯი.**

1. წინა წლებისგან განსხვავებით, თბილისის „დინამო“ დიდი ალმავლობით თამაშობდა. როგორც ჩანს, გუნდმა ირწმუნა თავისი ძალა. შესამჩნევად გაუმჯობესდა ურთიერთკავშირი ცალკეულ რგოლებს შორის. თბილისის „დინამოს“ თამაშს დიდი ხანია ვადევნებ თვალს. მოხარული ვარ, რომ იგი ისევ უბრუნდება შემტევ, აგრესიულ კალათბურთს, რითაც მუდამ განთქმული იყო. ამ ტურში დინამოელებს განსაკუთრებით კარგად გამოსდიოდათ კონტრშეტევები. სამწუხაროდ, გუნდი მოიკოჭლებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დაცვაში. დაცვა მუდამ „აქილევსის ქუსლი“ იყო თბილისელებისთვის და მწვრთნელებმა ამ დეფექტის გამოსწორებას ყურადღება უნდა მიაქციონ.

2. პროგნოზები სპორტში ფუჭი საქმეა. ჩემი აზრით, ათი გუნდი მაინც ინარჩუნებს ფინალურ ჯგუფში მოხვედრის შანსს.

3. თბილისის ტურის მონაწილეთაგან ასეთ გუნდს შევადგენდი: დერიუგინი, ტკაჩენკო, ენდენი, კაპუსტინი და მარჩიულენისი.

4. ახალი წესების ზოგი პუნქტი უდავოდ მისაღებია. განსაკუთრებით პუნქტები, შორიდან სროლის უპირატესობას რომ ადგენენ. ზოგს კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სჭირდება დაზუსტება და დახვეწა.

5. ძირითადად მომწონს, ვინაიდან ასეთი ფორმულა მეტ-ნაკლებად გამორიცხავს შემთხვევითობის ფაქტორს. ერთი კია, სეზონი უმაღლესი ლიგის კალათბურთელთათვის ცოტა მოკლედ მეჩვენება.



**იური სელიხოვი**

**ცსკა-ს უფროსი მწვრთნელი.**

1. თბილისის „დინამო“ ნელ-ნელა იბრუნებს დაკარგულ პოზიციებს. საბჭოთა კალათბურთში იგი უკვე ანგარიშგასაწევი ძალაა.

2. ჩვენ ერთადერთი მიზანი გვაქვს — ვიბრძოლოთ საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ჯილდოებისთვის.

3. ამ ეტაპზე ხუთეულის დასახელება გამიჭირდება.

4. ახალ წესებზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

5. ფორმულა მომწონს. ჩემპიონატი სწორედ ამ სისტემით უნდა ტარდებოდეს.



**ვლადიმერ კონდრაშინი**

**ლენინგრადის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი.**

1. გასაგები მიზეზების გამო ამ შეკითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ. ისე კი პროგრესი „დინამოს“ თამაშში აშკარად იგრძნობა.

2. ჩვენი უმთავრესი მიზანია რვა ფინალისტს შორის მოხვედრა.

3. მარჩიულენისი — „სტატიბადან“, ენდენი — ცსკა-დან, დერიუგინი — თბილისის „დინამოდან“, გრიშაევი — ჩემი გუნდიდან და სუხარევი — ტაშკენტის „უნივერსიტეტიდან“.

4. წესების ავკარგიანობაზე მსჯელობა არ არის ჩვენი საქმე.

5. ჩემპიონატის ფორმულა უვარგისია, მე მუდამ ვიყავი მიმოსვლითი გრაფიკის მომხრე.



**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში**



**რიმანტას ენდრაიტისი**

**ვილნიუსის „სტატიბას“ უფროსი მწვრთნელი.**

1. ამ ტურში თბილისის „დინამომ“ მშვენივრად ითამაშა, თავისი შესაძლებლობების ზღვარზე. შესამჩნევად ამაღლდა ტანმაღალ კალათბურთელთა — მილოვიდოვის, ბოროდაჩოვისა და ტიუბინის ოსტატობა. კარგად თამაშობენ კაპუსტინი და დარსაძე. დერიუგინი, უდავოდ, გუნდის ლიდერია. სხვები ამ ექვსეულს ჩამორჩებიან.

2. ძალიან გვინდა ფინალისტთა შორის მოვხვდეთ.

3. ტარაკანოვი და ტკაჩენკო — ცსკა-დან, ტიუბინი — თბილისის „დინამოდან“, მარჩიულენისი და ენდენი.

4. ახალი წესები ხელს შეუწყობს კალათბურთის შემდგომ განვითარებას.

5. სავსებით მისაღებად მიმაჩნია.



**არმანდ კრაულინი**

**ტაშკენტის „უნივერსიტეტის“ უფროსი მწვრთნელი.**

1. თამაშობენ გაცილებით უფრო აზრიანად, შინაარსიანად და საინტერესოდ. წინსვლა აშკარად შეიმჩნევა.

2. ამ შეკითხვაზე მეორე წრის დამთავრების შემდეგ გაგცემთ პასუხს.

3. თბილისელი დერიუგინი, ლოპატოვი და ტიხონენკო — ცსკადან, აგრეთვე ენდენი და მარჩიულენისი.

4. ახალ წესებზე პოზიტიური აზრისა ვარ, თუმცა ჩვენთვის არც ისე ხელსაყრელია.

5. ჩემპიონატის ფორმულა მუდმივი უნდა იყოს. მაშინ შეიძლება მის ავკარგიანობაზე მსჯელობა.



**იგორ ბრიტიკოვი**

**ვლადივოსტოკის „სპარტაკის“ უფროსი მწვრთნელი.**

1. „დინამოს“ ჰყავს ბევრი თანაბარი ძალის კალათბურთელი და ორი გამოკვეთილი ლიდერი — დერიუგინი და კაპუსტინი.

2. თბილისის ტურის შემდეგ ფინალისტთა შორის მოხვედრის შანსი დავკარგეთ. სამაგიეროდ გაორკეცებული ენერგიით ვიბრძოლებთ მეცხრე ადგილისათვის.

3. დერიუგინი, ტკაჩენკო, მარჩიულენისი, ენდენი და ვაინაუსკასი „სტატიბადან“.

4. ახალი წესები შეესაბამება კალათბურთის განვითარების საერთო ტენდენციებს. თამაში უფრო დინამიკური, სწრაფი და სანახაობრივი გახდა. ტანმაღალ კალათბურთელებს ახალი პრობლემები გაუჩნდათ — ახლა მათ საკუთარ ოსტატობაზეც უნდა იფიქრონ.

5. შეიძლება, რა თქმა უნდა, უკეთეს ფორმულაზე შეჩერებაც, როცა ყველა ყველას ხვდება. ასეთ დროს, ჩემი აზრით, უნდა ჩატარდეს ოთხი წრე, ტურებად.

**ნოდარ ახვლედიანი.**

# ვიეტნამელი ფეხბურთელები ზუგდიდში

**ამ** დღეებში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩასატარებლად ჩამოვიდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის ჰანოის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

ჰანოის დინამოელებმა წლეულს თავიანთი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს, გუნდის რამდენიმე მოთამაშე ეროვნული ნაკრების წევრია.

ვიეტნამელთა დელეგაციის ხელმძღვანელს **ჩან ჰიუ კუის** ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველებისთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა ვიეტნამურ ფეხბურთზე, კერძოდ, ჰანოის „დინამოზე“:

— ფეხბურთი ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, — თქვა მან.—საბჭოთა გუნდებთან მჭიდრო კონტაქტი გვაკავშირებს. ვიეტნამში სხვადასხვა დროს სტუმრად ყოფილან პერმის „ზვეზდა“, ყარაგანდის „შახტიორი“ და სხვები. ჩვენი გუნდებიც არაერთხელ ჩამოსულან საბჭოთა კავშირში. ჰანოისა და ჰაიფონში 30-ათასადგილიანი სტადიონები გვაქვს. ჰანოის „დინამო“ 1956 წელს დაარსდა, პირველი მწვრთნელი იყო ჩვენი გამოჩენილი სპეციალისტი და ფეხბურთის ენთუზიასტი ლუ დინ ტობე. საფეხბურთო სეზონი ვიეტნამში თებერვალში იწყება და ოქტომბერში მთავრდება. ჩვენ ახლანდელი სტუმრობის პირველი პერიოდი მოსკოვში გავატარეთ. საწვრთნელ მეცადინეობას ხელმძღვანელობს ვიეტნამის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ტოვან ხენი. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთელებთან ურთიერთობას ჩვენთვის დიდი სარგებლობა მოაქვს, სათანადო გამოცდილებასაც გვმატებს.

ვიეტნამელ სტუმრებს ზუგდიდში ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი წვრთნისა და დასვენებისთვის. ჰანოის დინამოელებმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართეს ზუგდიდის „დინამოსთან“ და ოჩამჩირეში — „ამირანთან“. მიუხედავად დამარცხებისა, მათ კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინეს.

ვიეტნამელი ფეხბურთელები ზუგდიდში 12 დეკემბრამდე დარჩებიან, ივარჯიშებენ და ამხანაგურ შეხვედრებსაც გამართავენ.

**კოკი ფიფია.**

**სურათზე: ჰანოისა და ზუგდიდის დინამოელები ამხანაგური მატჩის დამთავრების შემდეგ ზუგდიდის სტადიონზე.**

დ. რაფავას ფოტო.



# გივი ჩოხელი განმარტავს

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა პირველ ნაკრებს ახლახან არსებობის 60 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა ნაკრების ისტორიაზე, მის საერთაშორისო მატჩებზე, ცალკეულ მოთამაშეებზე, განსაკუთრებით, საქართველოს ფეხბურთელებზე, რომლებიც ჩვენი პირველი გუნდის ღირსებას იცავდნენ დიდ შეჯიბრებებში. აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტნად არჩეული იყო თბილისის დინამოელი მ. ხურცილავა, ხოლო შემდეგ — ა. ჩივაძე. რამდენიმე ფეხბურთის მოყვარულმა წერილით მოგვმართა და გვთხოვა გვეპასუხა, იყო თუ არა ოდესმე ნაკრების კაპიტნად არჩეული სხვა ქართველი ფეხბურთელი, კერძოდ, გ. ჩოხელი?

განმარტებისთვის მივმართეთ უშუალოდ სპორტის დამსახურებულ ოსტატს **გივი ჩოხელს.** აი რა თქვა მან:

— საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში გუნდის კაპიტანი მე არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთხელ მეც მომიწია კაპიტნობამ. ეს იყო 1963 წელს. ამხანაგურ, საწვრთნელ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის პირველი ნაკრები და ოლიმპიური ნაკრები. პირველი ნაკრები მაშინ მე გამოვიყვანე მინდორზე, სულ კი საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში 19 ოფიციალური საერთაშორისო მატჩი მაქვს ჩატარებული.

## „მატჩი“

## ბოშკოვი — მარადონა

ცნობილმა იუგოსლაველმა ფეხბურთის სპეციალისტმა ვუიადინ ბოშკოვმა, რომელმაც იტალიის კლუბ „ასკოლის“ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, მკაცრად გააკრიტიკა „ნაპოლის“ მოთამაშე მარადონა. ბოშკოვის აზრით, მარადონას დიდი რეპუტაცია სულაც არ შეესატყვისება მის ნამდვილ ძალას. მწვრთნელის ეს ნათქვამი „კორიერე დელო სპორტსა“ და „ლა გაზეტა დელო სპორტში“ დაიბეჭდა. ამის შემდეგ ჟურნალისტები მარადონას ეწვივნენ.

**— დიეგო, წაიკითხეთ, რას წერს ბოშკოვი?**

— წავიკითხე და გაოცებული დავრჩი: ბოშკოვი იტალიაში „ასკოლის“ მწვრთნელად ჩამოვიდა, თუ ჩემთვის ჭკუის სასწავლებლად? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე, საერთოდ, არც ვიცნობ მას.

**— ბოშკოვმა განაცხადა, რომ თქვენ ესპანეთში გოლები მხოლოდ 11-მეტრიანი და საჯარიმო დარტყმებით გაგქონდათ.**

— გოლი გოლია, როგორც უნდა იყოს იგი გატანილი და საოცარია, რომ მწვრთნელმა ეს არ იცის. ჩემი აზრით, ასეთი განცხადებებით ბოშკოვი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ყურადღება მიიპყროს.

**— ბოშკოვის აზრით თქვენ, როგორც ფეხბურთელი, არ იზრდებით და ისევ „განუვითარებელ ბიჭად“ დარჩით.**

— თუ ასეა, მაინტერესებს, როცა ჩემი გუნდი „ასკოლის“ შეხვდება, ბოშკოვი მარადონას მეურვეობას რომელიმე თავის ასეთივე „განუვითარებელ ბიჭს“ დაავალებს თუ საამისოდ გამოცდილ მცველს შეარჩევს?

## იოზეფ ბლატერის განცხადება

— 1986 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ყველა მატჩი მექსიკაში ზუსტად ერთსა და იმავე დროს დაიწყება — განაცხადა რომში გამართულ პრესკონფერენციაზე ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა, — ვფიქრობთ, ეს ყოველგვარ გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან.

**ინფორმაცია**



# წიგნი ბასკეთის ფეხბურთელებზე

**გამომცემლობა** „ნაკადულმა“ კიდევ ერთი კეთილი საქმე გააკეთა ფეხბურთის მოყვარულთათვის — გამოსცა გიორგი მახარაძის წიგნი „მოედანზე არიან ბასკი ვირტუოზები“.

ძველი თაობის ადამიანებს ეს წიგნი გაახსენებს ბასკეთის ამ შესანიშნავი გუნდის სტუმრობას საბჭოთა კავშირში 1937 წელს, მის ორ დაუვიწყარ მატჩს თბილისის „დინამოსთან“ და საქართველოს ნაკრებთან, ფეხბურთის დიდოსტატების ლანგარას, ბლასკოს, სილაურენის, ეჩებარიას, აედოს, არესუს, გოროსტიცას, ლარინაგასა და სხვების ბრწყინვალე თამაშს, ხალხით სავსე თბილისის „დინამოს“ სტადიონს, ახალგაზრდები კი ინტერესით გაეცნობიან ჩვენი ფეხბურთის ისტორიის ამ საინტერესო მონაკვეთს.

წიგნი გამოცემულია 10.000 ტირაჟით.

## ინფორმაცია

### კალათბურთი

**სალონიკი, 5 დეკემბერი.** კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ერთ-ერთ ჯგუფში კაუნასის „ჟალგირისთან“ ერთად გამოდიან სალონიკის (საბერძნეთი) პაოკ-ი, სარაგოსას (ესპანეთი) კაი და ვენის (ავსტრია) „ლანდესგირი“.

გუშინ გაიმართა საბჭოთა და ბერძენი კალათბურთელების პირველი შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა „ჟალგირისმა“ 78:72 (33:38). ჩვენს გუნდს ყველაზე ბევრი ქულა შესძინეს ჩივილისმა (21), კურტინაიტისმა და ხომიჩუსმა (16-16), საბონისმა (15).

ამ კოლექტივების განმეორებითი მატჩი 15 იანვარს კაუნასში გაიმართება.

### ფარიკაობა

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „ტოკაი-ექსპრესი“. დაშნით მოფარიკავეთა ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „მეგობრობა-84“-ის ჩემპიონი ერნე კოლცონაი და ზოლტან სეკეი (ორივე — უნგრეთი). გაიმარჯვა კოლცონაიმ — 10:6.

**ვენა.** აქ ჩატარდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი მსოფლიო თასის პროგრამით. რაპირისტთა შეჯიბრებაში დომინირებდნენ იტალიისა და საფრანგეთის სპორტსმენები. ნახევარფინალში გავიდა ამ ქვეყნების ორ-ორი წარმომადგენელი. გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა სტეფანო ჩერიონიმ, რომელმაც ფინალში ანგარიშით 10:7 დაამარცხა ფრანგი ფილიპონე.

### ჰოკეი

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციამ, ნაკრების მწვრთნელთა ვ. ტიხონოვისა და ვ. იურზინოვის წარდგინებით, დაამტკიცა იმ 33 სპორტსმენის სია, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრებსა და „იზვესტიის“ ტურნირში. ჩეხებთან მატჩი შედგება 8, 9 და 11 დეკემბერს, „იზვესტიის“ პრიზის გათამაშება კი 16-21 დეკემბერს.

### ფრენბურთი

**ვენა.** რიგის „რადიოტექნიკას“ ფრენბურთელმა ვაჟებმა მეორე შეხვედრაც მოუგეს ადგილობრივ „ტიროლიას“ და გავიდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში. აქ მათი მეტოქე იქნება იტალიის „სანტალსა“ და ჰოლანდიის „ამსტელვეენს“ შორის გამარჯვებული. პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, იტალიელმა ფრენბურთელებმა მოიგეს — 3:1.











**მოსკოვში,** კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, თითქმის საომი თვეა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვიან ამჟამინდელი ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და მისი ახალგაზრდა მეტოქე გარი კასპაროვი. ეს პარტია, რომელსაც პირველ ფოტოზე ხედავთ, ახალი დაწყებულია, მაგრამ პრესცენტრში უკვე საქმიანი ვითარებაა — პლანეტის რომელი ქვეყნის სააგენტოსთვის არ ილებენ ჟურნალისტები და სპეციალისტები მასალებს საკუნის მატჩის გარშემო. ინგლისელი დიდოსტატები ჯონათან სპილმენი და რაიმონდ კინიც აზუსტებენ პრესცენტრში მიღებულ ინფორმაციას (მეორე ფოტო); ასეც ხდება, დაძაბულობის გასანელებლად, განმუხტვის მიზნით ვინმე გაიხუმრებს და ეს განწყობილება ყველას გადაეცემა. ამჯერადაც ასე იყო, (მესამე ფოტო) — ცნობილი დიდოსტატები: ვასილ სმისლოვი, არნოლდ დენკერი, მიგელ ნაიდორფი, მარკ ტაიმანოვი, ლევ პოლუგაევსკი, ედუარდ გუფელდი და იური რაზუვაევი პრესცენტრში, მორიგი, დაძაბული პარტიის გარჩევისას უცებ გამხიარულდნენ. წამის შემდეგ ისინი კვლავ განაგრძობენ მუშაობას. დასრულდა კიდევ ერთი შეხვედრა. მეტოქენი მეგობრულად არჩევენ პარტიას, გულდასმით ეძებენ მოგების გზას თუ დაშვებულ შეცდომას (მეოთხე ფოტო).

ბ. დოლმატოვსკის ფოტოები.

## კალეიდოსკოპი

### მესამე ფიგურისტი

„ჩვენ მხოლოდ ორი ფიგურისტი გვყავდა იოზეფ საბოვჩიკზე უკეთესი“ — ამას რომ ამბობდა, ჩეხოსლოვაკიის ფიგურული ციგურაობის ეროვნული ფედერაციის მდივანს ვოცლავ ნოვაკს მხედველობაში ჰყავდა სკვო-ველის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი კარელ დივინი და საპოროს ოლიმპიადის ჩემპიონი ონდრე ნეპელა.

21 წლის საბოვჩიკმა შედარებით მოკლე დროში მართლაც დიდ წარმატებებს მიაღწია: ხუთჯერ იყო ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი, 1983 წელს დორტმუნდში ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, ოტავის მსოფლიო ჩემპიონატზე კი მეოთხე ადგილი დაიკავა. ახლა იგი გულმოდგინედ ემზადება 1985 წლის ევროპისა (თებერვალი, ჰეტებორგი) და მსოფლიო (მარტი, ტოკიო) ჩემპიონატებისთვის, რომლებშიც სპეციალისტთა აზრით წარმატების დიდი შანსები ექნება.

### უიღბლო ჰილარი

**უმაღლესი** კატეგორიის სიძნელის მწვერვალი, რომელთა შორის ევერესტი უპირველესია, ალპინისტებისაგან მხოლოდ სიმამაცეს როდი მოითხოვს. ჰიმალაი არ წყალობს წინდაუხედავ მთამსვლელებს. ამ მთიანი მასივის ურთულესი მწვერვალების დასაპყრობად, პირველ ყოვლისა, საღად აზროვნება და სიდინჯეა საჭირო.

ევერესტის პირველი დამპყრობის ედმუნდ ჰილარის ვაჟს პიტერს სწორედ ეს თვისებები აკლია. ალბათ ამიტომაც დამთავრდა მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული ოთხი ექსპედიცია ასე ტრაგიკულად. პიტერმა ხუთი უახლოესი მეგობარი დაჰკარგა.

როგორც ჩანს, ალპინიზმში პიტერ ჰილარი განსაკუთრებით უიღბლოთა რიცხვს განეკუთვნება. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მთლად ასეც არ არის, პიტერი ბოლომდე უიღბლო ალპინისტი რომ იყოს, აბა დაბლამის მწვერვალის წარუმატებელი შტურმის შემდეგ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

### 64 წლის შემდეგ

არ არის გამორიცხული, რომ ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, 64-წლიანი შესვენების შემდეგ, კვლავ შეიტანონ ჩოგბურთი. საერთაშორისო ფედერაცია დიდი ხანია ეძებს გზებს ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ფედერაციის წევრთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ისეთი გამოჩენილი სპორტსმენები, როგორებიც არიან ჯონ მაკინროუ, ივან ლენდლი, მარტინა ნავრატილოვა და სხვები, უსათუოდ უნდა მონაწილეობდნენ ოლიმპიურ შეჯიბრებებში.



ჯონ მაკინროუ თამაშის დროს.

### ...უზომოდ დავიღალეთ

**წარუმატებლად** დაიწყო სეზონი იტალიის ფეხბურთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა — ტურინის „იუვენტუსმა“. მიუხედავად იმისა, რომ ამ კლუბში თამაშობენ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული „ვარსკვლავები“, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი პლატინი, 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონები როსი, კაბრინი, შირეა და ტარდელი, გუნდი კარგავს ქულებს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ასეთი წარუმატებელი სტარტი „იუვენტუსს“ ბოლო 15 წლის მანძილზე არ ჰქონია.

აი, როგორ ხსნის ამ ფაქტს მიშელ პლატინი: „ჩვენ უზომოდ დავიღალეთ, ამიტომ წლევანდელი სეზონისთვის დიდ ილუზიებს არ ვქმნით. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში მდგომარეობა გამოსწორდეს“.

### ძველი გვარდიის იმედით

**ამას** წინათ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟულიტე კოუტინიომ რიო-დე-ჟანეიროში განაცხადა, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს ეროვნული ნაკრები იმ შემადგენლობით ჩაატარებს, როგორითაც 1982 წელს ესპანეთის სტადიონებზე თამაშობდა. ექვსი კანდიდატის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. ესენი არიან: ზიკო, ფალკაო, სოკრატესი, ჟუნიორი, სერეზო და ბატისტა. მართალია, ეს ფეხბურთელები იტალიის კლუბებში თამაშობენ, მაგრამ მიღწეულია შეთანხმება საჭიროების შემთხვევაში მათი განთავისუფლების შესახებო — დასძინა პრეზიდენტმა.

### მედალი ხუთი თვის შემდეგ

**მოყვარულ** მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ექვს მძლეოსანს, რომლებიც სისტემატურად მიმართავდნენ დოპინგს. ფედერაციამ განიხილა ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში ქალთა 100 მეტრზე თარჯრბენის შედეგები და ბრინჯაოს მედლით დააჯილდოვა, აგრეთვე, ფრანგი მიშელ მარდონე. ეს გადაწყვეტილება, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის პრიმო ნებიოლოს განცხადებით, მიღებულია მას შემდეგ, რაც ექსპერტებმა გულდასმით შეისწავლეს სააპელაციო ჟიურის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ფოტოდოკუმენტები.

### დადებითად შეაფასეს

**გდრ-ის** ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე მაღალი შეფასება მისცეს ამ ქვეყნის სპორტსმენთა გამოსვლებს სარაევოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებსა და „მეგობრობა 84“-ის შეჯიბრებებში. სხდომამ დეტალურად განიხილა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 90-ე სესიისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხები. როგორც ცნობილია, სესია ჩატარდება 1985 წლის 3-6 ივნისს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში.

### უნდა შეიცვალოს

**მხატვრული** ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის საპატიო მდივანმა, შვეიცარიელმა ბანგერტერმა განაცხადა, რომ უნდა შეიცვალოს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების რეგლამენტი. ვენის ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ნაშუადღევს დაწყებული მრავალჭიდელთა შეჯიბრება გვიან ღამემდე გრძელდება. ეს დიდ ფიზიკურ და ნერვულ დატვირთვას მოითხოვს სპორტსმენებისგან, თუ მათ ნორჩ ასაკს გავითვალისწინებთ.

### „სულელი კი არა ვარ!“

**„წიგნი მეკარეთათვის“** — ასე ჰქვია გფრ-ის ნაკრების ყოფილი მეკარის ზეპ მაიერისა და ბელგიის ნაკრების ახლანდელი მეკარის ჟან მარი პფაფის ერთობლივ ნაშრომს.

პფაფისთვის ეს წიგნი ლიტერატურული დებიუტია, მაიერმა კი თავისი პირველი წიგნი ორი წლის წინ გამოსცა. ეს გახლავთ ერთდროულად ავტობიოგრაფიაც—საკმაოდ უცნაური სათაურით — „სულელი კი არა ვარ!“ და მაიერის პასუხიც მკითხველთა შეკითხვაზე, რატომ არ დაიწყო მწვრთნელად მუშაობა, როცა თამაშს თავი დაანება.

თავისი ავტობიოგრაფია გამოსცა ცნობილმა ურუგვაელმა მეკარემ ლადისლაო მაზურკევიჩმაც.

## კალეიდოსკოპი

### „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 1 დეკემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 48-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** გაიყიდა 533 250 ბარათი.

ექვსი ციფრი ერთმა გამოიცნო — ის მიიღებს 10 000 მანეთს, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (41 ბარათი) — 801, ოთხისთვის (1074 ბარათი) — 44, სამისთვის (17473 ბარათი) — 4.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** გაიყიდა 4 099 104 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (15 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (3522 ბარათი) — 136, სამისთვის (119 897 ბარათი) — 5.

მოგებული თანხის განაღდება 12 დეკემბრიდან 1985 წლის 12 იანვრის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
„მარჯვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-36

ჩვენი ინდექსი 60485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15075